სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

04 თებერვალი, 2026 წელი

ბრძანება № 01-02/21

2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს ,,ფილოლოგიისა'' და „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტთა ,,სადოქტორო სემინარი ქვედარგში'' შემფასებელი კომისიების შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, „ბსუ-ს 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №06-01/70 დადგენილების, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2026 წლის 28 იანვრის №81445 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **შეიქმნას** 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ფილოლოგიის“** და **„ისტორიის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტთა **,,სადოქტორო სემინარი ქვედარგში'' შემფასებელი კომისიები** შემდეგი შემადგენლობით:

ა) „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე:

1. პროფესორი თამარ სირაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი მზია ხახუტაიშვილი - კომისიის მდივანი;
3. პროფესორი მარინე სიორიძე - კომისიის წევრი;
4. ასოცირებული პროფესორი ნელი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
5. ასოცირებული პროფესორი ზეინაბ გვარიშვილი - კომისიის წევრი;
6. პროფესორი ინგა შამილიშვილი - კომისიის წევრი;
7. პროფესორი თინა შიოშვილი - კომისიის წევრი.

ბ) „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე:

1. პროფესორი ჯემალ კარალიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი ციური ქათამაძე -კომისიის მდივანი;
3. პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;
4. პროფესორი კახაბერ სურგულაძე- კომისიის წევრი;
5. პროფესორი თამაზ ფუტკარაძე - კომისიის წევრი.

2. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფილოლოგიის“ და „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტთა „სადოქტორო სემინარი ქვედარგში'' **დაცვა ჩატარდეს:**

ა) ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **2026 წლის 16 თებერვალს, 12:00 სთ-ზე** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, კორპუსი N1, მე-2 სართული, N37 აუდიტორია);
ბ) „ისტორიის“ „სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **2026 წლის 12 თებერვალს, 11:00 სთ-ზე** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, კორპუსი N1, მე-2 სართული, N44აუდიტორია).

3. შემფასებელმა კომისიებმა იხელმძღვანელონ ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილებით და წინამდებარე ბრძანებით.
4. შესაბამისმა დარგობრივმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირება.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძეს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტს, დოქტორანტებს და შემფასებელი კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ.№30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე